ხაშურის მოამბე

№34 (115) 18 სექტემბერი, ორშაბათი, 2017 წელი

- სასწავლო წელი დაიწყო -

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს 693 ახალწვეული ეყოლება

15 სექტემბერს, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა დაიწყო. ამ დღეს, ახალი შემართებით და დასახული მიზნებით უამრავმა მოსწავლემ შეაბიჯა საჯარო სკოლებში. აქტიურად მოემზადა ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლებიც ახალი სასწავლო წლისთვის, მათ შორის კი პატარა პირველკლასელებიც, რომლებიც სადაცაა ცხოვრების გზაზე კიდევ ერთი საფეხურით წაიწევენ წინ და, რომლებიც ახალ გამოწვევებს, სიძნელეებს, თუ საინტერესო თავგადასავლებს ჯეროვნად შეხვდებიან. ისინი ხომ მომავალი ოქროს და ვერცხლის მედალოსნები უნდა გახდენენ, რითაც რაიონს ქვეყნის მასშტაბით ასახელებენ. ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად, უამრავ სასიამოვნო სიახლეებს ველოდებით, რომელთა შესახებაც „ხაშურის მოამბეს" ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ზვიად გოგუაძე ესაუბრა:

– ვულოცავ თითოეულ მოსწავლეს და პედაგოგს სწავლის დაწყებას და წარმატებულ სასწავლო წელს ვუსურვებ. დავიწყებ იმ ინფორმაციით, რომ წელს, 693 პირველკლასელი გყვავს. ტრადიციულად, პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი" ფარგლებში, ამ მოსწავლეებს გადაეცემათ პორტაბელური კომპიუტერები, გარდა ამისა, გრძელდება მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა, 7000-ზე მეტი მოსწავლე მიიღებს სახელმძღვანელოს, პირველიდან თორმეტი კლასის ჩათვლით, ეს ეხებათ მხოლოდ საჯარო სკოლებს. რაც შეეხება სკოლებში სარემონტო სამუშაოებს, წინა წლებთან შედარებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში გაცილებით მეტ სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია. ნაწილმა სკოლებისა ეს საკუთარი ფინანსური სახსრებით მოახერხა, ეს, რა თქმა უნდა, დიდი მიღწევაა. აღვნიშნავ რომ, საგანმანათლებლო სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო იკვლევს სკოლების მდგომარეობას და შესაბამისად, მათ რეაბილიტაციას ახორციელებს. ამ დროის მდგომარეობით, ამ სააგენტომ განახორციელა შემდეგი სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია, ესენია: ხაშურის პირველი საჯარო სკოლა, მე-4 საჯარო სკოლა და ასევე მე-9 საჯარო სკოლა. როგორც მოგეხსენებათ, ეს სკოლა ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ფარგლებში ძირეულად გარემონტდა, თუმცა, ეზოს ნაწილობრივი რეაბილიტაცია სააგენტომ ითავა. გარდა ამისა, იწყება ფლევის საჯარო სკოლის მშენებლობა. სამართლებრივი დოკუმენტაცია მოწესრიგებულია და ხელშეკრულებაც დადებულია, უახლოეს მომავალში დაიწყება მშენებლობა. განხორციელდა ოძისის სკოლის ძირფესვიანი რეაბილიტაცია, რომელიც ცოცხნარის ტერიტორიულ ორგანოში იყო, წელს კი, ადგილობრივი თვითმმართველობის და უშუალოდ, ბატონი გიორგი გურასპაშვილის დახმარებით, ეს შენობა ჩვენ გადმოგვეცა დროებით სარგებლობაში და განხორციელდება სკოლის სარემონტო სამუშაოები საკუთარი სახსრებით. ჯამში, 15-ზე მეტ სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია, ნაწილს სააგენტოს დახმარებით, ნაწილს კი - შიდა ფინანსური სახსრებით. გრძელდება მოსწავლეების ტრანსპორტირების პროგრამაც, რომელიც 15 საჯარო სკოლაში ხორციელდება. სახელმწიფო უზრუნველყოფს იმ მოსწავლეების ტრანსპორტირებას, რომლებიც სკოლიდან 2 კმ. დაშორებით ცხოვრობენ. მომავალი სასწავლო წლისთვის შემდეგ სიახლეებს უნდა ველოდოთ. განთლების სამინისტრომ დანერგა თავისუფალი გაკვეთილები სკოლებში, რომელიც მნიშვნელოვანია ბავშვის თავისუფალი აზროვნებისა და განვითარებისათვის. გარდა ამისა, მატერიალური სიკეთეებიც მოაქვს თითეული სკოლისათვის, სამინისტროს მიერ დაფინანსებული სკოლები იღებენ თანხას იმ ნივთების შესაძენად, რომელიც საჭიროა თავისუფალი გაკვეთილების ჩასატარებლად. აღვნიშნავ, რომ ჩვენს რაიონში სკოლების მაქსიმალური რაოდენობა ჩაერთო აღნიშნულ პროგრამაში – 32-დან 30 სკოლა. დავამატებ, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრი აპირებს ხელი შეუწყობს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას მოსწავლეებში, რასაც გასულ წლებშიც ვახორციელებდით და ბავშვებიც აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი. სკოლებში გადამზადდებიან ლიდერი მოსწავლეები, რომლებიც იმუშავებენ ისეთ აქტუალურ თემებზეც, როგორებიცაა: ოჯახში ძალადობა, თამბაქოს, ალკოჰოლის მავნებლობა და სხვა. მოსწავლეთა გადამზადებას უზრუნველყოფს რესურსცენტრი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ისაა, რომ ყველა სკოლაში უნდა მოწესრიგდეს კვების რეჟიმი მოსწავლეებისათვის, დამტკიცებულია ახალი სტანდარტი, რის მიხედვითაც მათ უნდა მიეწოდოთ ჯანსაღი პროდუქტი. ასევე, გეტყვით, რომ ვგეგმავთ მეათე კლასის წარჩინებული მოსწავლეების კომპიუტერებით დაჯილდოვებას, დაახლოებით, 80-ზე მეტი მოსწავლის.

სურათზე: ხაშურის #9 საჯარო სკოლის პირველკლასელები, დამრიგებელი ეკა ქურდაძე.

რამაზ ხარშილაძის ხსოვნას

ლეგენდები არ მიდიან, ლეგენდები რჩებიან. ასე იქნება სწორედ ჩვენში და ღრმად გვწამს, მთელი საქართველოს გულში რამაზ ხარშილაძის სახელი, კაცის, რომელმაც ჩვენი მუნიციპალიტეტი და მთელი საქართველო მსოფლიოს გააცნო.

უნიკალური, განსაკუთრებული, ბეჭდაუდებელი... ეს ის ეპითეტებია, რომელიც მუდამ თან სდევდა ამ საოცარ მოჭიდავეს. ნაცარგორაში გაზრდილმა ბიჭმა, რომელმაც ნახერხმოყრილ პატარა, სოფლის საჭიდაო არენიდან დაიწყო აღმასვლა, მსოფლიოს უამრავი ქვეყნის უდიდესი ქალაქების სასპორტო დარბაზები დაიპყრო. იგი ქართული ძიუდოს აღორძინების სათავეებთან იდგა და თუ დღეს სპორტის ეს სახეობა ასეა განვითარებული და წარმატებული საქართველოში, ამაში უდიდესი წვლილი რამაზ ხარშილაძესაც მიუძღვის. მართლაც, უნიკალურია მისი მიღწევები: 7-ჯერ მოიგო საკავშირო ჩემპიონატი, რამდენიმე ათეული „ა" კლასის საერთაშორისო ტურნირი და, რაც მთავარია, მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის მედალი. და რომ არა საბჭოეთისადმი მთელი მსოფლიოს ნეგატიური დამოკიდებულება და აქედან გამომდინარე, ფინალში მსაჯის არაკეთილგანწყობა, ყველამ ვიცით, რომ იგი ოლიმპიური ჩემპიონიც გახდებოდა.

ჭიდაობის საოცარი მანერა ჰქონდა – ულამაზესი, ტექნიკური ილეთებით გაჯერებული. იმდენად ლამაზად ჭიდაობდა, რომ იაპონიაში, ტოკიოში, საოცარი და იაპონელებისათვის უწველო ფაქტიც დააფიქსირა. ოციათასადგილიან დარბაზში, როდესაც მან, ფინალში, ბრწყინვალე გდებით, ადგილობრივების ფავორიტე და უსაყვარლესი მოჭიდავე დაამარცხა, წამიერი გარინდების შემდეგ, მთელი დარბაზი ფეხზე ადგა და მხურვალე ოვაცია გაუმართა.

ბრწყინვალე ოჯახი დატოვა ბატონმა რამაზმა. იყო შესანიშნავი მამა, მეუღლე, ბაბუა. სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანი დღეს ჩვენს გვერდით აღარ არის. დიდმა პიროვნებამ, დიდმა ქართველმა და დიდი გულის კაცმა დაგვტოვა.

თუმცა, „დაგვტოვა" ალბათ, ზედმეტია – ლეგენდები ხომ არასოდეს არ გვტოვებენ, ლეგენდები მუდამ ჩვენთან არიან.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა,
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გაზეთის ,,ხაშურის მოამბე" რედაქციის თანამშრომლები უერთდებიან ამ სამძიმარს და გულწრფელად უთანაგრძნობენ მის ოჯახს.

თ. ახალკაცი

სტიქიის შედეგად დაგარალებულთა კომპენსაცია დაიწყო

10 ივნისს, სურამში, ქვიშხეთში, გომის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში და 27 ივნისს ქვიშხეთის ადმინისტრაციულ სოფლებში მომხდარი სტიქიით დაზარალებულთა კომპენსაცია დაიწყო. ყველას გვახსოვს, მართლაც რა საშინელი სტიქია იყო იმ დღეებში. სურამში ადიდებულმა პატარა რუმ, რომელსაც ღელესაც ძლივს უწოდებ, ისე გაიგიჟა თავი, საკუთარ გზაზე მთლად

წალეკა ყველაფერი და კალაპოტმა რომ ვეღარ დაიტია, პირდაპირ ბაღ-ვენახებითა და სახლ-სახლ იკვლია გზა. ქვიშხეთში მომხდარმა სეტყვამ კი რაც 10-ში დააკლო სტიქიამ, ის საქმე „მოამთავრა" – მრავალ მოსახლეს დაუზიანა სახლის სახურავი. ამ დღეებში, ცნობილი გახდა, რომ სტიქიით დაზარალებულთა კომპენსაცია დაიწყო. ჩვენ შევხვდით სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მუდმივმოქმედი კომისიის თავჯდომარეს, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს **ზურაბ ჩხიტუნიძეს**, რომელსაც ვთხოვეთ, მოეთხრო იმ სამუშაოების შესახებ, რაც სტიქიის ლიკვიდაციას ეხება.

– სალიკვიდაციო სამუშაოები, ფაქტობრივად, სტიქიის მეორე დღესვე დაიწყო, - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ბატონმა ზურაბმა. უსწრაფესი რეაგირება მოახდინა ამ ფაქტზე ცენტრალურმა ხელისუფლებამ და სხვადასხვა დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად 915 ათასი ლარი ჩაურიცხა მუნიციპალიტეტს. ამ თანხით ჩვენ თითქმის ათამდე ობიექტზე დავიწყეთ სამუშაოები, რომელთაგან ზოგი უკვე დამთავრდა ზოგი კი – უახლოეს პერიოდში დასრულდება. ესენია: სურამში რუსთაველის ქუჩის დაზიანებული მონაკვეთის და მიმდებარე ჩიხის მოასფალტება, ქვიშხეთში, პავლაძეებისა და გომარელების უბანში, ხიდის მოწყობა, ქვიშხეთშივე ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა და დაზიანებული გაბიონის კედლის აღდგენა; ხაშურში, მრავალბინიანი საცხოვრებელი ბინების სახურავების რეაბილიტაცია; ქვიშხეთში დაზიანებული წყლის ქსელის და სადრენაჟე სისტემის შეცვლა; სურამში, 26 მაისის ქუჩაზე, დამცავი კედლისა და „პერანგის" მოწყობა; სურამშივე სანიაღვრე არხების აღდგენა, სოფელ მიწობში ნაპირსამაგრი კედლისა და სანიაღვრე არხის მოწყობა. რაც მთავარია, ჩვენ უკვე

დავიწყეთ დაზარალებულ მოქალაქეებზე ფულადი კომპენსაციის გაცემა. მინდა გითხრათ, რომ თანხა მთლიანად რაიონის ბიუჯეტიდან გამოინახა. ამჟამად, ამისათვის 70 ათასი ლარია გამოყოფილი. ძალიან დიდი სამუშაო გასწია კომისიამ. სულ 258 განცხადება იყო შემოსული. თითოეული მათგანი იქნა აღწერილი და დოკუმენტურად დამუშავებული. დღეისათვის 47 მოსახლეზე სრულიად მორჩენიალია დოკუმენტირება და 40 მათგანს უკვე ჩაერიცხა თანხა. ჩარიცხული თანხის საერთო რაოდენობა 25109 ლარია. ეს ეხება 10 ივნისს დაზარალებულებს. 27 ივნისის დაზარალებულებიდან კი 7 ოჯახს საერთო ჯამში 3621 ლარი გადაეცა. სირთულეს ქმნის ის, რომ ძალიან ბევრს სახლი რეგისტრირებული არ ჰქონდა, ზოგს კი სამი მესაკუთრე ჰყავს. მან პროცესი ოდნავ გაწელა. ჩვენის მხრიდან შეფერხება არ არის და როგორც კი მობინადრეები დოკუმენტების სრულყოფას შესძლებენ, კომპენსაცია დაუყონებლივ გაიცემა, - აღნიშნა საუბრის ბოლოს ბატონმა ზურაბმა.

გ. გოგოლაძე

100 ათასი უნიკალური არქეოლოგიური მასალა სასწრაფოდ საჭიროებს ახალ შენობას

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი 100 000-მდე საექსპონატო მასალას ითვლის, რომელიც უნიკალურია თავისი სიძველით, ისტორიული და არქეოლოგიური მნიშვნელობით. აქ დაცული, გორათის მთაზე აღმოჩენილი თიხის ქალღვთაების სასმისი(220 გრ ტევადობის), რომელიც ძვ.წ I ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება და გვიან ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება, დღესაც ბორდოს გამოფენას ამშვენებს. გარდა ამ ექსპონატებისა, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ეკუთვნის გომის საექსპედიციო ბაზა, რომელიც 80 000-მდე არტეფაქტს მოიცავს და ასევე დიდი ისტორიული ღირებულების მატარებელია.

8 სექტემბერს, ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი, სიმონ ნოზაძე, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად, გომის საექსპედიციო

ბაზას ესტუმრა. დაათვალიერა შენობა, გაეცნო სამუზეუმო მასალას. შენობა მუზეუმის ფონდის ნაწილს წარმოადგენს. 3 წლის წინ, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა გადასცა შენობა ლომოურის ქუჩაზე, სადაც უნდა განთავსდეს მუზეუმის ფონდები. გომის არქეოლოგიურ ბაზაზე არსებული ექსპონატები უნდა გადავიდეს ამ შენობაში მუზეუმის სხვა დანარჩენ ექსპონატებთან ერთად. შენობის ხართჯაღრიცხვა შედგენილია, მისი ღირებულება შეადგენს 125 000 ლარს-სწორედ ამ საკითხებზე, მათი გადაწყვეტის გზებზე ისაუბრა დეპუტატმა მუზეუმის თანამშრომლებთან. ხოლო გომის ბაზაზე განთავსებულ არტეფაქტების მნიშვნელობაზე, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი ჯონდო ქიტიაშვილი გვესაუბრა:

–გასული საუკუნის 70-იან წლებში ხაშურში მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხაშურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. 80-იანი წლების დასაწყისში ექსპედიციას სამუშაოდ გადაეცა სოფ. გომის ძველი სკოლის შენობა, სადაც მიმდინარეობდა მოპოვებული არქეოლოგიური მასალის პირველადი დამუშავება (გასუფთავება, რესტავრაცია, ჩახატვა და ა.შ.).

ექსპედიციამ პერიოდულად იმუშავა სულ 17 სეზონი (1976 წლიდან 1992 წლის ჩათვლით), ამ ხნის მანძილზე, პირველად გათხარეს სოფ. წაღვლის მიქელაანთ ვერხვების სამაროვანი (150 სამარხი), ნაცარგორის გორა-ნამოსახლარი (1984 წლიდან), ნაცარგორის სამაროვანი(514 სამარხი) და წაღვლის საციხურის გორა-ნამოსახლარი. ექსპედიციის მუშაობა მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა, დაგროვდა უამრავი არქეოლოგიური არტეფაქტი (80 ათასამდე), მთელი ეს მასალა ამჟამად ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდს წარმოადგენს, რაც გამოწვეულია იმით, რომ მთელი მუშაობის მანძილზე, ექსპედიციას გვერდში ედგა ხაშურის მუზეუმი, აქტიურად მონაწილეობდნენ მუზეუმის თანამშრომლები.

გომის ბაზაზე ამჟამად განთავსებულია ზემოთ ჩამოთვლილ არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული მხოლოდ კერამიკული მასალა. დანარჩენი არტეფაქტები (ბრინჯაოს, რკინის მასალა, სამკაული და სხვა) განთავსებულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობაში. უაღრესად დიდია ამ არქეოლოგიური მასალის მეცნიერული ღირებულება.

წაღვლის მიქელაანთ ვერხვების სამაროვანი ქრონოლოგიურად თავსდება ძვ.წ XVII–XV საუკუნეებში. ესაა შუადან გვიან-ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდი და წარმოადგენს მთელს კავკასიაში ამ ეპოქისთვის ეტალონურ ძეგლს. სამაროვანი გამოირჩევა კერამიკული მარაგის სიუხვით (150 სამარხში 108 ერთეული დიდრონი დერგია აღმოჩენილი), ამ სამაროვანში, №94 სამარხში, აღმოჩენილი იქნა კევრი-ხორბლის სალეწი დაფა, რომელიც ძვ.წ XVII საუკუნით თარიღდება და წარმოადგენს მთელს კავკასიაში უდიდეს და ამავდროულად ყველაზე სრულყოფილ კევრს. დადასტურებულია კევრზე მიცვალებულის დაკრძალვის ფაქტი(შესაძლებელია საქმე გვქონდეს გუთნიდედის კულტთან).

ნაცარგორის გორა-ნამოსახლარის გათხრა დაიწყო 1984 წელს. კულტურული ფენის სიღრმე გორაზე 12 მეტრამდე აღწევს. აქ გაითხარა ადრე,გვიანი ბრინჯაოსა და სამხრეთ კალთაზე ანტიკური ხანის ფენები. გორა-ნამოსახლარის მარაგი უნიკალურია, განსაკუთრებით ადრებრინჯაოს ხანის ფენაში აღმოჩენილი არტეფაქტები. გორაზე, ალექსანდრე რამიშვილის მიერ, აღმოჩენილი მარაგით დაინტარესდა იტალიის, ვენეციისა და ფოსკარის უნივერსიტეტის არქეოლოგთა ჯგუფი პროფესორ ელენა როვას ხელმძღვანელობით და ეს ჯგუფი საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად, აწარმოებდა გათხრებს ნაცარგორაში 2011-1012 წლებში. აღმოჩენილი მარაგი, რომელიც 6 000-მდე

(დასასრული IV გვერდზე)

სურამის ციხის წმ. გიორგის ეკლესიის უცნობი საალმშენებლო წარწერა (XV-XVI სს.) მეჭურჭლეთუხუცესისა და პირის მწდის გიორგი ღალანისძისა და მისი მეუღლის თამარ ქუაბუღისძის მოხსენიებით

(წარწერის მიკვლევისა და შესწავლის ისტორია)

ჩვენს მკითხველს ალბათ ახსოვს სამეცნიერო პუბლიკაცია, რომელიც „ხაშურის მოამბემ“ გასულ წელს გამოაქვეყნა. შეგახსენებთ, რომ პუბლიკაცია სურამში, წმინდა სამების (ღვთაების) ეკლესიის ქვის წარწერას ეხებოდა. ახალგაზრდა მეცნიერებმა ირაკლი გელაშვილმა, თამაზ გოგოლაძემ და თემო ჯოჯუამ შესძლეს ამ წარწერის ამოკითხვა (გაშიფვრა) და უნიკალურ აღმოჩენამდე მივიდნენ. წარწერამ, რომელიც XI საუკუნის აღმოჩნდა, დაადასტურა (მანამდე ისტორიულ წყაროებში არ დასტურდებოდა), რომ სურამელების ფეოდალური გვარის სახლი სწორედ სურამიდან იღებს სათავეს და მათი ერთ-ერთი რეზიდენცია სავარაუდოდ, სწორედ სურამში იყო.

ახალგაზრდა მეცნიერებმა ამჯერად უნიკალურ წარწერას სურამის ციხეზე მიაკვლიეს. დღეს გთავაზობთ მათი ნაშრომის ლიტერატურულ ვერსიას.

2015 წლის 10 მარტს, ნაშრომის ავტორებმა, დაბა სურამში, მცირე ეპიგრაფიკული ექსპედიცია მოვაწყეთ და გვერდისუბნის ღმრთაების ეკლესიის 1180-1210-იანი წლების უცნობი ასომთავრული საალმშენებლო წარწერის პალეოგრაფიული პირი გადმოვიღეთ.

იმავე 10 მარტს, გვერდისუბნის ეკლესიის წარწერაზე მუშაობის დასრულების შემდეგ, სურამის ციხეზე ავედით და მისი შემორჩენილი ნაგებობები დავათვალიერეთ. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც ციხის ქვედა ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს.

არსებობს ამ ეკლესიის 1990 წელს გამოქვეყნებული აღწერილობა, რომელიც ფლორ დევდარიანისა და პარმენ ზაქარიას მიერ არის შედგენილი. აღწერილობაში ვკითხულობთ: „წმ. გიორგის ეკლესია... აგებულია XI-XII სს-ში. ეკლ. დარბაზულია (5,9X6,1 მ), ნაგებია თლილი ქვით. შესასვლელი ორი აქვს – დას-ით და ჩრდ-ით. ეკლ. ორნაწილიანია, ორივე ნაწილი თანაბარია. სამხრ. ნაწილი აფსიდიანია, ჩრდ. ნაწილი – სწორკუთხა. დარბაზები ერთმანეთთან დაკავშირებულია განიერი თაღით. ორივე ნაწილი გადახურულია ერთი ცილინდრული კამარით, რ-იც მათ ერთ დიდ დარბაზად აერთიანებს. თითოეულ დარბაზში თითო სარკმელია, აღმ-ით და დას-ით. ინტერიერში შემორჩენილია ფეოდ. ხანის... მოხატულობის დაზიანებული ფრაგმენტები. საკურთხევლის კონქში ვედრების კომპოზიციაა; მის ჩრდ. კუთხეში ღვთისმშობლისა და ექვსფრთედის ფიგურებია, ქვემოთ – მოციქულთა ზიარება. ასევე ცალკეული ფრაგმენტებია შემორჩენილი დარბაზში: კამარის ჩრდ. მხარეს, თაღის თავზე ამაღლების კომპოზიციის ნაწილი; ქვემოთ, ჩრდ.-დას. კუთხეში წმინდანთა მჯდომარე ფიგურებია; დას. კედლის ჩრდ. მონაკვეთი, ზემოთ, ლაზარეს აღდგინებას უჭირავს; ჩრდ. ნავის კამარაში ჩანს მხოლოდ ანგელოზთა ფრთები; ქვემოთ, სამხრ. და ჩრდ. კედლების აღმ. ნაწილში მთავარანგელოზთა ორ-ორი ფიგურაა. მოხატულობისათვის დამახასიათებელია გამოსახულებათა მცირე ზომები და შესრულების გრაფიკულობა. კოლორიტში ჭარბობს მოწითალო-აგურისფერი, მუქი ლურჯი, მოწითალო-ყავისფერი, მონაცრისფრო-თეთრი და ყვითელი ფერები. ეკლესიის ფასადებზე დეკორის ფრაგმენტები ჩანს. სარკმლების მორთულობიდან შემორჩენილია თაღების და რელიეფური ღილაკის ფრაგმენტები. სახურავი ორფერდაა. ეკლესიაზე ჩრდ-დან მიშენებულია კამარით გადახურული პატარა (2X3 მ) სათავსი, რ-საც შესასვლელი დას-დან აქვს. კარის თავზე გაჭრილია სარკმელი“

ციტირებული აღწერილობის გამოქვეყნებიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ, 1991 წლის 29 აპრილს, საქართველოში მოხდა მძლავრი მიწისძვრა, რომელმაც რაჭა-იმერეთსა და შიდა ქართლში დიდი ნგრევა გამოიწვია. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის თამაზ ლაცაბიძის ცნობით, 1991 წლის მიწისძვრამ ძლიერ დააზიანა სურამის ციხის წმ. გიორგის ეკლესიაც: „მთლიანად ჩამოიქცა მისი გადახურვა, დაინგრა კედლები და განადგურდა შემორჩენილი მხატვრობის ფრაგმენტები“



სამწუხაროდ, ეკლესია დღემდე მძიმე მდგომარეობაში რჩება და გადაუდებელ საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებს საჭიროებს.

სურამის ციხის წმ. გიორგის ეკლესიის დათვალიერების დროს, წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთმა ავტორმა – ირაკლი გელაშვილმა, ტაძრის ჩრდილოეთი კედლის დასავლეთი კიდის ზედა ნაწილში ჩადგმულ კვადრატული მოყვანილობის საფასადო ქვაზე ასომთავრული ლაპიდარული წარწერის მცირე ფრაგმენტი შენიშნა. როგორც გაირკვა, თავდაპირველად, წარწერა ეკლესიაზე ჩრდილოეთიდან მიდგმული სათავსის სამხრეთი კედლის კარნიზით თითქმის მთლიანად იყო დაფარული. მოგვიანებით, სავარაუდოდ, 1991 წლის მიწისძვრის დროს, კარნიზი ჩამოინგრა და წარწერა მთლიანად გამოჩნდა, თუმცა რამდენიმე წელიწადში მისი ტექსტის უმეტესი ნაწილი ახლა უკვე ჩრდილოეთი სათავსის სახურავზე ამოსულმა ბალახმა დაფარა.

წარწერის გამოჩენის მიზნით, ქვას ბალახი მოვაშორეთ და იქვე, ეკლესიის წინ დავდეთ. წარწერის ტექსტის ძირითადი ნაწილი დღის სინათლეზე წავიკითხეთ და რამდენიმე ფოტოც გადავიღეთ. იმ ეტაპზე, წასაკითხი დაგვრჩა წარწერის მხოლოდ ორი მცირე ფრაგმენტი, რომელთა გარჩევაც, დაღამებისა და სპეციალური განათების უქონლობის გამო, ვეღარ მოვასწარით. მიუხედავად ამისა, უკვე სრულებით ცხადი იყო, რომ წარწერის სახით, ხელთ გვქონდა შუა საუკუნეების ქართული ეპიგრაფიკის შესანიშნავი ძეგლი, რომლის შესახებაც სამეცნიერო საზოგადოებისათვის არაფერი იყო ცნობილი.

ტექსტზე მუშაობის შემდეგ, ახლადმიკვლეული წარწერიანი ქვა წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთ სათავსში შევიტანეთ. გადაწყდა, რომ დაწყებული კვლევა-ძიების დასამთავრებლად, რამდენიმე დღის შემდეგ სურამის ციხეზე კიდევ ერთხელ ავიდოდით.

2015 წლის 17 მარტს, სურამის ციხეში მართლაც დავბრუნდით, თუმცა, წარწერა ადგილზე აღარ დაგვხვდა. როგორც გაირკვა, ჩვენი თბილისში დაბრუნების შემდეგ, წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთ სათავსში შეტანილ წარწერიან ქვას შემთხვევით წააწყდა სურამის №2 საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე დავით ცელაძე, რომელმაც ეს ამბავი იმავე სკოლის ისტორიის პედაგოგს ჯაბა ლაბაძეს გააგებინა, ამ უკანასკნელმა კი, 12 მარტს, წარწერიანი ქვა, მისი უკეთ დაცვის მიზნით, სკოლაში გადაიტანა.

სწორედ სურამის №2 საშუალო სკოლაში შეგასრულეთ წარწერაზე მუშაობის მეორე ეტაპის სამუშაოები, რაშიც დიდი დახმარება გაგვიწიეს: სკოლის დირექტორმა დალი ბროლიძემ, ისტორიის პედაგოგმა ჯაბა კილაძემ და სხვა თანამშრომლებმა. ამ დახმარებისათვის მათ გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ.

17 მარტს, ჩატარებული კვლევა-ძიების დროს, წარწერის ტექსტი უკვე სრულად წავიკითხეთ. გარდა ამისა, დავაზუსტეთ ტექსტის იმ ფრაგმენტების წაკითხვაც, რომელთა მართებულობა გარკვეულ ეჭვს იწვევდა. იმავე დღეს შევადგინეთ წარწერის დეტალური ტექნიკური აღწერილობაც, დავამზადეთ ტექსტის პალეოგრაფიული პირი და გადავიღეთ წარწერის ფოტოები. ამით, წარწერის დედანზე მუშაობა საბოლოოდ დავასრულეთ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, აღვნიშნავთ იმასაც, რომ სურამის ციხის წმ. გიორგის ეკლესიის ლაპიდარული წარწერა ამჟამად კვლავ სურამის №2 საშუალო სკოლაში ინახება. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რომ წარწერა მუზეუმში გადაიტანოს. იმედი გვაქვს, რომ ეს გადაწყვეტილება არ შეიცვლება და წარწერას დროულად გადაიტანენ მუზეუმში, სადაც მისი დაცვა სრულად იქნება უზრუნველყოფილი.

წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენთ სურამის ციხის წმ. გიორგის ეკლესიის ლაპიდარული წარწერის ტექნიკურ აღწერილობას, მისი ტექსტის გადმონაწერს, დედნის შრიფტის დაცვით და ამ ტექსტის ჩვენეულ წაკითხვას, აგრეთვე, წარწერის პალეოგრაფიულ პირსა და ფოტოებს.

წარწერა ამოკვეთილია კვადრატული მოყვანილობის მქონე რუხი ფერის ქვაზე, რომელიც წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის დასავლეთი კიდის ზედა ნაწილში, მიწის დონიდან, დაახლოებით, 2,5 მ-ის სიმაღლეზე იყო ჩადგმული. ქვის ზომებია: სიგრძე – 57 სმ., სიგანე – 57 სმ, სისქე – 27 სმ. ქვის საფასადო წახნაგი მთლიანად წარწერის ტექსტს უკავია. წარწერა ასომთავრულია და შვიდ სტრიქონს შეიცავს. სტრიქონები ერთმანეთისაგან წვრილად ამოღარული განივი სწორი ხაზებითაა გამოყოფილი. წარწერის დასაწყისში წარმოდგენილია ქანწილი, რომლის მკლავთაშორის არეებზეც თითო წერტილია დასმული. ტექსტში ყველაზე მაღალი და დაბალი გრაფემებია: II სტრიქონის ოცდამეერთე გრაფემა T (თ) – 8,5 X 4,2 სმ. და VII სტრიქონის მეცამეტე გრაფემა A (ა) – 1,5 X 1,4 სმ. ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი სწორი ხაზი, რომელიც წარწერაში მხოლოდ ერთ ადგილას გვხვდება. განკვეთილობის ნიშნებად გამოყენებული თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ დასმული ორწერტილი ან წერტილი. ტექსტში რამდენიმე ადგილას გვხვდება ანმეტობისა და ბგერა უ-ს გრაფემა O-ს (ო) საშუალებით გადმოცემის, აგრეთვე, ლიგატურისა და შეწიაღების შემთხვევები. წარწერის I სტრიქონის ბოლო გრაფემა, აგრეთვე, I, IV, V და VI სტრიქონების რამდენიმე გრაფემის ზედა ფრაგმენტი, ქვის ზედაპირის დაზიანების გამო, დაკარგულია. ნაკლული და დაზიანებული გრაფემები მათი შემორჩენილი ფრაგმენტებისა და კონტექსტის მიხედვით გვაქვს აღდგენილი.

1. :ქ: შეწევნითა: {ღ}{თ}ი{ს}{თ}{ა}. {მ}[-]

2. ღაღანსძემან გი: მეჭრჭლეთ: ო
3. ხოცესმან: და პირსმწდემან: და:
4. მეოღ{ლ}ემან ჩემმან თამარ ქოაბოლსძისა:
5. ასოლმან: აღავაშენეთ: ეკლესია: ესე: ძლევსა. მთ{ა}

(დასასრული V გვერდზე)

პირველი ‘‘ყიფიანობა’’ - საერთო-სახალხო ეროვნული სულისკვეთების ღღესასწაული

ჩვენმა გაზეთმა ჯერ კიდევ 1996 წლის 8 ნოემბერს აუწყა თავის მკითხველს, რომ თვის ბოლოს რაიონში აღინიშნებოდა ჩვენი ქვეყნის დიდი და სახელოვანი შვილის, თვალსაჩინო ეროვნული მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი სახალხო ღღესასწაული, რომელიც შემდგომში ტრადიციად უნდა ქცეულიყო.

რაიონის საზოგადოება,მოწინავე და აქტიური ინტელიგენცია დიდი მოწონებითა და კმაყოფილებით შეხვდა ამ ცნობას. რაიონულ გაზეთში კი მაშინვე გამოჩნდა დ. ყიფიანისადმი მიძღვნილი ინფორმაციები, წერილები, მოგონებები. გაჩაღდა ღონისძიების მომზადებისათვის ერთგვარი წინასაქმიანობა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ქვეყანაში გაჩნდა იდეა, რომ ყველა რაიონში მოეფიქრებინათ და ჩაეტარებინათ ღრმად ეროვნული შინაარსისა და სულისკვეთების ღონისძიება, რომელიც ტრადიციად უნდა ქცეულიყო.

რაიონის მაშინდელმა გამგებელმა ბატონმა გივი ხვედელიძემ მაშინვე გაისიგრძეგანა ამ ღონიძიების დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. თავისი ჩანაფიქრი გამგეობის წევრებს, სხვადასხვა სამსახურების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკებსა და აქტიური ინტელიგენციის ნაწილს გააცნო.

ამ იდეამ ყველგან აღფრთოვანება და მოწონება დაიმსახურა, თუმცა, პროფესიონალებისა და აქტიური საზოგადოების ერთ ნაწილში გაჩნდა ამ საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა.

ისინი ამბობდნენ, რომ რა საჭიროა ველოსიპედის გამოგონება, როცა იგი კარგა ხანია გამოგონილია. ისინი გულისხმობდნენ „ლესიაობას“, რაც კარგა ხანია ტრადიციულ ღღესასწაულად იქცა რაიონში.

მეორენი, გამგებელის თანამოაზრენი, ამბობდნენ, რომ „ლესიაობა“ ძალიან კარგი და საჭირო ღონისძიებაა,პოლიტიკურადაც და ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით გამართლებულია, რომელიც მომავალში კიდევ უფრო უნდა დაიხვეწოს, უფრო მრავალფეროვანი და შინაარსიანი გახდეს. უნდა მოვახდინოთ მისი მოდერნიზაცია და ვაქციოთ პოეზიის ღღესასწაულად, სადაც წინა პლანზე იქნება ლესია, მისი პოეზია და მისი სამშობლო.

ჩვენ კი გთვაზობთ ეროვნული შინაარსისა და სულისკვეთების ღონისძიებას, რომელიც ღრმა ეროვნულ ფესვებზე იქნება აღმოცენებული და გახდება ახალგაზრდების პატრიოტული სულისკვეთების აღზრდის მისაბაძი მაგალითი, ღონისძიებას, რომელიც სათანადო პატივს მიაგებს სამშობლოსათვის თავდადებულთა ხსოვნას და მათ საგმირო საქმეებს.

საბედნიეროდ, ასეთი პიროვნება გვყავს დიმიტრი ყიფიანი, ქართველი კაცი, რომელიც უშიშრად და შეუდრეკლად აღუდგა ცარიზმის რასისტულ პოლიტიკის და კიდეც შეეწირა მას. მან თავის თავზე აიღო, ერის ღირსების დაცვის დიდი და სარისკო საქმე. არ შეუშინდა ცარიზმის სისასტიკეს და მძლავრად ააფრიალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ილიასეული დროშა.

გამგებლის მტკიცე ლოგიკამ, სულისკვეთებამ და ავტორიტეტმა იმარჯვა, გადაწყდა: ჩაეტარებინათ (მომავალში კი ტრადიციად ექციათ) დიმიტრი ყიფიანის ხსოვნის უკვდავსაყოფად სახალხო ღღესასწაული, რომელსაც დაერქმეოდა „ყიფიანობა“.

და, აი, ეს ღღეც დადგა: 1996 წელი, 24 ნოემბერი. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ხალხმრავლობაა.

გვიანი შემოდგომის დარია. მზიანი ამინდია, მაგრამ მოზეიმეთა უმრავლესობა თბილადაა ჩაცმული, ლაბადებშია გამოხვეული.

ოპერატორის გამჭრიახი თვალი კი თითქმის ყველაფერის სწვდება და აფიქსირებს. აი, მოედანზე შემოდის 2 ავტომანქანა „ვოლგა“. ისინი მხარდამხარ დგებიან. პირველი მანქანიდან გივი ხვედელიძე გადმოდის, მეორე მანქანიდან მხარის გუბერნატორი ირაკლი ბოჭორიშვილი, ისინი ერთმანეთს ძმურად ესალმებიან და ხალხისკენ მიდიან, „ყიფიანობის“ ღღესასწაულს ულოცავენ. კიდევ რამდენიმე წუთი და მოედანზე „იკარუსის“ მარკის ავტობუსები შემოგრიალდებიან. იქიდან სახეგაბრწყინებული და საზეიმოდ გამოწყობილი სტუმრები ჩამოდიან. მათ შორის არიან საქვეყნოდ ცნობილი პირები, მეცნიერები, მხატვრები, პოეტები და ხელოვნების ყველა დარგის გამოჩენილი ადამიანები.

კერძოდ: რეზო ჩხეიძე, სპარტაკ ხატიაშვილი, ლია ელიავა, ოთარ კობერიძე, ჯემალ ღაღანიძე, იმედა კახიანი, გურამ ლორთქიფანიძე, გურამ ფირცხალავა, ედიშერ მაღალაშვილი, ლალი ბადურაშვილი, თამარ დათუაშვილი, ბაადურ წულაძე დევი აბაშიძე, გრიშა წიტაიშვილი, თემურ ფალავანდიშვილი, ავთანდილ გველესიანი, სოსო გოგიჩაიშვილი, სულიკო ჟღენტი, შოთა ხოდაშნელი, ცისანა ტატიშვილი, ჯემალ აჯიაშვილი, აბონ ციციაშვილი, გოგი თოთიბაძე, ნატო ციციშვილი, ნანა ლეჟავა, ერეკლე ბადურაშვილი, ზაზა ხალვაში, დათო ურუშაძე, გიორგი ნაკაშიძე, ავთანდილ გველესიანი, გიული ჭოხონელიძე, სოსო გოგიჩაიშვილი, მიხეილ ქავთარაძე და სხვები. მოედანი სახეღიმილიანი, მოზეიმე ხალხით აივსო. ყველა აღფრთოვანებულია ხაშურში ჩამოსვლით, ასეთი გულთბილი დახვედრით. ისინი მადლობას უხდიან ბატონ გივი ხვედელიძეს და მის აქტივს, ქალაქში ნამდვილი ზეიმია. ამ ზეიმს კიდევ უფრო დაუვიწყარსა და შთამბეჭდავს ხდის სტუმრთა მრავალფეროვნება და მათი განწყობა. ჩამთავრდა შეხვედრები, მისალმება-მოკითხვები, სტუმრებიც და მასპინძლებიც ტრანსპორტისაკენ გაემართნენ, მათ თავიანთი ადგილები დაიკავეს ავტობუსებში და დიდი, ლამაზი კოლონა ქვიშხეთისაკენ გაემართა.

და აი, ქვიშხეთი. ყიფიანების კარ-მიდამო, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს შიდა ქართლის ვაკე, სტუმრები აღფრთოვანებულნი არიან ქვიშხეთით, დიმიტრი ყიფიანის კარ-მიდამოთი.

ქვიშხეთი და ქვიშხეთელები გახარებულნი და კმაყოფილნი არიან სტუმართა სიმრავლით, მისი შემადგენლობით. თუმცა, მათთვის ასეთი რამ უცხო არ არის, ისინი ხომ ქართველ მწერალთა სახლში არიან, რომელსაც არაერთი სახელოვანი და ძვირფასი სტუმარი ჰყოლია. აქ სტუმართა შორის ბევრი ხაშურელიცაა, აი ოპერატორი კადრში იჭერს ჩვენს კოლეგას, ჟურნალისტ მაყვალა ხაჩიძეს. იგი ყველაგანაა, სადაც სტუმარ-მასპინძელია, ესაუბრება და იწერს ინტერვიუებს. მის გვერდით ვხედავთ ჩვენს მეორე კოლეგას, აწ გარდაცვლილს დავით წიქარიშვილს, ისინი ცდილობენ არაფერი გამორჩეთ მხედველობიდან, ყველაფერი დააფიქსირონ, რომ მერე გაზეთ „ხაშურის მოამბის“ საშუალებით ქვიშხეთის ამბები მთელს რაიონს გააგებინონ და ეს მოვლენა-ფაქტი ისტორიის კუთვნილება გახადონ.

სტუმრებს თავს ევლება და ესაუბრება ჩვენი რაიონის ისტორიის მემატიანე, ბატონი თამაზ ლაცაბიძე.

ერთი სიტყვით ბევრი ცნობილი სახეა აღბეჭდილი ამ ვიდეოდისკზე და იგი ამითაც არის ისტორიული და საინტერესო.

იწყება ღღესასწაულის გახსნის ცერემონიალი. სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნაზე ადიან ბატონები: გივი ხვედელიძე, ირაკლი ბოჭორიშვილი, რეზო ჩხეიძე. ისინი დანარჩენ სტუმრებს ტრიბუნაზე ეპატიჟებიან, მალე ტრიბუნა ცნობილი ადამიანებით ივსება.

ღონისძიება მოკლე შესავალი სიტყვით ხსნის რაიონის გამგებელი. იგი დამსწრეთ შეახსენებს ღღევანდელი შეკრების მიზანს, იგონებს დ. ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე, მაგრამ ღრმაშინაარსიან წარსულს, მის დამსახურებას ერისა და ქვეყნის წინაშე, საზოგადოებას შეახსენა მისი მნიშვნელოვანი როლი სამშობლოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საქმეში.

გ. ხვედელიძეს მხარის გუბერნატორი ირაკლი ბოჭორიშვილი ცვლის. იგი რაიონის, საზოგადოებას, მთელს მოსახლეობას ულოცავს ამ ღირსშესანიშნავი ღონისძიების ჩატარებას და იმედს გამოთქვამს, რომ „ყიფიანობა“ თავის მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს რაიონის კულტურულ ცხოვრებაში. რომ იგი იქცევა ტრადიციად და მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთების არზრდის საწინდრად. იგი მადლობას უცხადებს გივი ხვედელიძეს და მის აქტივს ასეთი შესანიშნავი ღონისძიების მოფიქრებისა და მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. მის შემდეგ სიტყვას წარმოთქვამს პოეტი გიგლა ხუხაშვილი, მისმა ემოციურმა არაერთხელ გამოიწვია დამსწრეთა აღფრთოვანება.

ტრიბუნაზეა ჩვენი თანამემამულე გორის ეკონომიკური უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი კლარა ელჩიბეგაშვილი, რომელიც დამსწრეთა ყურადღებას იმ როლზე და ფუნქციაზე ამახვილებდა, რომელიც ისტორიულად ჰქონდა დაკისრებული შიდა ქართლს.

სტუმრებსა და მასპინძლებს დიდი მადლობა გადაუხადა დამსახურებულმა პედაგოგმა კლიმენტი სუთიაშვილმა.

საზეიმო ცერემონიალის დროს არაერთხელ გამოვიდა რაიონის მომღერალთა გუნდი ალექსი ნემსაძის ხელმძღვანელობით, მას ხშირად ცვლიდა რობერტ აკოფოვის მუსიკალური ჯგუფი.

ეს დიდი ზეიმი და ნამდვილი ღღესასწაული ხაშურში გაგრძელდა.

რ. სუხიაშვილი

100 ათასი უნიკალური არქეოლოგიური მასალა სასწრაფოდ საჭიროებს ახალ შენობას

(დასასრული)

არტეფაქტს ითვლის, გომის ბაზაზეა დაცული და ხაშურის მუზეუმისადმი გადმოსაცემად არის გამზადებული.

გომის ბაზაზე დაცულია აგრეთვე წაღვლის მახლობლად, ე.წ საციხურის გორა-ნამოსახლარის გვიანბრინჯაოს ხანის მარაგი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნცარგორის სამაროვანის მასალა, რომელიც აღმოჩნდა გორის სამხრეთით.

სიმონ ნოზაძე (ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი):

–ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი უნიკალურია თავისი მნიშვნელობით. აქ 100 000-ზე მეტი სამუზეომო ექსპონატია დაცული, რომლითაც დასტურდება, რომ კულტურული საქმიანობა საქართველოს და ამ შემთხვევაში ხაშურის ტერიტორიაზე, იმთავითვე მიმდინარეობდა და საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული. ხაშური ეს არაა ახალი ქალაქი. გორათის გორაზე აღმოჩენილი ერთ-ერთი სამუზეუმო მასალა თიხის ქალღვთაება სასმისი, ახლაც ბორდოშია გამოფენაზე წაღებული. თვითონ გომის საცავი, როგორც ხედავთ, სავალალო მდგომარეობაშია,აქ ინახება ჩვენი არტეფაქტები,რომლებიც,აშკარად მიუთითებენ, რომ საქართველოში მაშინ არსებული კულტურა აშკარა გამოძახილია მტკვარი-არაქსისა და ზედამესოპოტამური კულტურისა და მეცნიერულად დადასტურებულია ეს ფაქტი. მასალა ჯერ კიდევ მოსაძიებელია,ნაბახტევშიც, წაღვლშიც, ნაცარგორაშიც, მაგრამ რაც მოძიებულია, სავალალო მდგომარეობაშია, ფაქტობრივად, დაუცველია და დაუყოვნებლივ რეაგირებას საჭიროებს. ამ საქმისათვის ფულადი სახსრები აუცილებლად უნდა გამოინახოს და იქნებ მოხვდეს მომავალი წლის ბიუჯეტში ამ საცავების აღდგენის საკითხი. ამის თაობაზე კულტურის სამინისტროსთანაც მექნება საუბარი. ამაში ადგილობრივ მმართველობის ჩართულობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ახლადარჩეულმა საკრებულომ ბიუჯეტში აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ ამ ეტაპზევე მოხდებს თანხების გამოყოფა და მობილიზება. ეს ქვეყნის პერსპექტივას უკავშირდება,ჩვენი სავიზიტო ბარათია, რომ ჩვენ ამ არტეფაქტებით ვადასტურებთ ჩვენი ერის უძველეს წარმოშობას და კულტურულ განვითარებას. უნდა მივხედოთ, სხვანაირად, ჩვენ ისტორიას დავკარგავთ, კულტურას ვერ გავუფრთხილდებით. გულსატკენია, რომ ასეთი ისტორიული განძი ინახება ამ დაუცველ ოთახებში, რომლითაც ნებისმიერი სხვა ქვეყანა იამაყებდა.

იმედია, დროულად მოხდება ფულადი სახსრების მობილიზება შენობის რეაბილიტაციისათვის, რადგან, გომის ბაზაზე არსებული არქეოლოგიური მასალა, ნამდვილად ყურადღებას და მოფრთხილებას ითხოვს-ამ შეხვედრის მიზანსაც, სწორედ ეს წარმოადგენდა.

თ. ჯავახიშვილი

"არტ-სტუდია" იწყებს...

ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებულ სახელოვნებო სტუდიებს ერთი, გამორჩეული მიმართულების სტუდია შეემატა. "art-studio" ოქტომბრიდან უმასპინძლებს ყველას, ვისაც ხელოვნების ისეთი დარგები აინტერესებს, როგორიც ფოტოგრაფია, გობელენი, ხატწერა, ხალხური და საესტრადო სიმღერებია. სტუდიის ხელმძღვანელს, ლედი კუთხაშვილსაც კარგად იცნობს ხაშურის საზოგადოება. სტუდია "ციცინათელაში" ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ, გადაწყვიტა, საკუთარი სტუდია გაეხსნა და პროფესიონალ მასწავლებლებთან ერთად, მომავალი თაობის სულიერ აღზრდაზე ეზრუნა. აქამდე კი ლედიმ სწავლისა და განვითარების დიდი გზა განვლო, რომელზეც თვითონ გვესაუბრება:

–დამთავრებული მაქვს გორის სამუსიკო სასწავლებელი საფორტეპიანო განყოფილება, მაქვს ფორტეპიანოს პედაგოგის, კონცერტმაისტერისა და ანსამბლის მსახიობის კვალიფიკაცია. ვმღეროდი და ვუკრავდი ხალხურ საკრავებზე გორში, გიორგი საძაგლიშვილთან ანსამბლ "ქართლში", 2005 წლიდან ვარ გორის საკათედრო ტაძრის მგალობელი და ოთხი წელია ვარ მგალობელთა გუნდის რეგენტი. როგორც უკვე გითხარით, 2005 წლიდან ვგალობ და 2006 წლიდან ვასწავლი საგალობლებს ეკლესია-მონასტერებში: ატენის, ურბნისის, სომანეთის დედათა მონასტრებში. შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში გავაგრძელე სწავლა საღვთისმეტყველო ინსტიტუტში ქრისტიანულ ხელოვნებათმცოდნეობაზე და წელს ვამთავრებ მაგისტრატურას გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უმაღლეს სასწავლებელში. ვაგრძელებ საეკლესიო მუსიკისმცოდნეობის კუთხით მუშაობას, წელს, მანანა ანდრიაძისადმი მიძღვნილ მუსიკალურ კონფერენციაზე, როგორც საუკეთესო მომხსენებელს, გადმომეცა მანანა ანდრიაძის სახელობის ფულადი პრემია. სულ სწავლის და ძიების პროცესში ვარ...

- როგორც ვიცი, ხაშურთან შენი ურთიერთობა ანსამბლ "ციცინათელას" უკავშირდება...

–დიახ, 2010 წლიდან ვმუშაობდი სტუდია "ციცინათელაში", სადაც ჩემი ხელმძღვანელობით შეიქმნა ანსამბლი ფოლკლორის მიმართულებით, რომელმაც დიდ წარმატებებს მიაღწია, მათ შორის, ყველაზე ღირებული იყო 2015 წელი, როდესაც ანსამბლმა ბავშვთა და ახალგაზრდული კოლექტივების პირველ კონკურსში, საქართველოს მასშტაბით, პირველი ადგილი, ოქროს მედალი, ლაურიატის წოდება და ფულადი პრემია აიღო. ბოლო სამი წლის მანძილზე ერთ-ერთ საუკეთესო შედეგს ვაფიქსირებდით ამ კონკურსში შიდა ქართლში არსებულ სხვა ანსამბლებს შორის. წელსაც, ანსამბლმა ქულების მიხედვით, მიიღო პირველი ადგილი გალობის კატეგორიაში. ყველაზე დიდი მიღწევა და თანადგომა იყო ის, რომ გასულ წელს ანსამბლმა "ციცინათელამ" ანსამბლებთან "მზეშინასთან", "იალონთან" და "აღსავალთან" ერთად გამართა კონცერტები ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით და ასევე, "ბასიანის" სოლო კონცერტში მიიღო მონაწილეობა. წელსაც, ანსამბლი იმყოფებოდა კონკურსზე "ნარინჯისფერ ქობულეთი", სადაც ჟიურის მაქსიმალური შეფასებიდან, მაქსიმალური 25 ქულა ავიღეთ და დავიკავეთ პირველი საპრიზო ადგილი. რითაც ძალიან ამაყი ვარ.

- რატომ გადაწყვიტეთ თქვენი სტუდიის გახსნა, თან სხვა ქალაქში?

–წლების განმავლობაში ვმოღვაწეობ ხაშურში, კარგად ვიცნობ ამ ქალაქს. სტუდიის გახსნა ერთგვარად ამბიციასთანაცაა დაკავშირებული,მაგრამ ხალხის ნდობა როდესაც გაქვს, უფრო მარტივია. ბავშვობიდანვე მქონდა სურვილი მქონოდა ისეთი ადგილი, სადაც ნიჭიერ ბავშვებს დავასაქმებდი, ვფიქრობ, ეს სტუდია მომცემს ამის შესაძლებლობას.

- რითია განსხვავებული თქვენი სტუდია, რას ასწავლით?

–გვაქვს ქართული გალობა, ქართული საკრავები, თექა, საესტრადო(მარიამ მარნაძე), ხატწერა(გიორგი ხაჩიძე), ფარდაგი-ხალიჩა(გობელენი)(ელისო გელაშვილი), გიტარის შემსწავლელი(ნუგზარ ნოზაძე) წრეები. ასევე, გვაქვს ფოტოგრაფიის შემსწავლელი 3 თვიანი კურსი პროფესიონალურ დონეზე, რომლის დამთავრების შემდეგ, მიიღებენ ორენოვან სერთიფიკატს. ამ წრეს ორი პედაგოგი უხელმძღვანელებს, თეორიულ კურსს არჩილ კაპანაძე და პრაქტიკულ ნაწილს ბესარიონ ჩახვაძე გაუძღვებიან, რომელიც არის საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციის წევრი. ჩვენი სურვილი იყო, არა მხოლოდ თეორიული კურსი, არამედ პრაქტიკული გამოცდილებაც მიგვეცა მოსწავლეებისათვის. რადგან ბატონი ბესარიონი გორელია, სტუდიაც გორში აქვს და თვეში ორჯერ მოსწავლეებს ჩვენივე ტრანსპორტირებით წავიყვანთ მის სტუდიაში. სწავლის ღირებულება საკმაოდ ხელმისაწვდომი იქნება, ამ ეტაპზე, 20%-იანი ფასდაკლებაც ვრცელდება. გარდა ამისა, ვფიქრობთ, გამოვაცხადოთ ფოტოკონკურსი. ფოტოები განთავსდება ჩვენს ფეისბუქ-გვერდზე, რომელიც შეირჩევა მნახველების მიერ, პირველ ადგილზე გასულ ფოტოს ავტორს ექნება შანსი ისარგებლოს 80%-იანი,მეორე ადგილზე გასულს,60% და მესამე ადგილზე გასულს 40%-იანი ფასდაკლებით. გარდა ფოტოგრაფიის შესწავლისა,ბესარიონი მოსწავლეებს ასწავლის როგორ გახდნენ წარმატებული ფოტოგრაფები და როგორ მოახდინონ საკუთარი ნამუშევრების პრეზენტაცია. ჯგუფში არ უნდა იყოს 15 მოსწავლეზე მეტი, ასაკობრივი შეზღუდვა 13 წლიდან იწყება. გარდა ამისა, მეუფის ლოცვა-კურთხევით, ეპარქიის ტაძრებისთვის მგალობელთა გუნდების მომზადებასაც ვიწყებთ.

- სხვა წრეებზეც გაქვთ ასაკობრივი შეზღუდვები?

–გობელენის შესწავლის მსურველებს 10-11 წლიდან ვიღებთ, 10 წლის ასაკიდან ხატწერაზე, ესტრადაზე 5-6 წლიდან ,საკრავებზე 7 წლიდან, ხატვაზე 5 წლიდან. ასევე, ვფიქრობთ, გავხსნათ ხელოვნების შემსწავლელი ჯგუფები. მათთან პერიოდულად იმუშავებს ბავშვთა ფსიქოლოგი.

- სწავლის ღირებულება რამდენადაა ხელმისაწვდომი?

–სწავლის ღირებულება საკმაოდ ხელმისაწვდომია, შედავათები ვრცელდება ოჯახიდან ორ ან მეტი ბავშვის შემთხვევაში, ან თუ მოსწავლე პარალელურად ირჩევს მეორე წრესაც. სამომავლოდ,ვგეგმავთ საგანმანათლებლო პროგრამებიც გავაკეთოთ ხელოვნების კუთხით.

წარმატებებს ვუსურვებთ "არტ-სტუდიას", ხელმძღვანელს, მასწავლებლებს და ველოდებით შედეგს, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის იმედებს გაამართლებს.

თ. ჯავახიშვილი

(დასასრული)

6. ვრმწმსაა: სლცველად: საწყლობლს{ა}: სოლსა
7. ჩნსა და მშბელთა. ჩნთა: შემდგმთა და მ"მლთა ჩნთა
8. „ქ. შეწევნითა ღ{მრ}თის{აჲ}თა.
9. მ[ე], | ღაღან{ი}სძემან გ{იორგ}ი, მეჭ{უ}რჭლეთუ|ხუცესმან და პირ{ი}ს მწდე-

სურამის ციხის წმ. გიორგის ეკლესიის უცნობი საღმშენებლო წარწერა (XV-XVI სს.) მეჭურჭლეთუხუცესისა და პირის მწდის გიორგი ღაღანისძისა და მისი მეუღლის თამარ ქუაბულისძის მოხსენიებით

(წარწერის მიკვლევისა და შესწავლის ისტორია)

მან და | მეუღლემან ჩემმან თამარ, ქუაბულ{ი}სძისა | ასულმან, აღ<ა>ვაშენ-ეთ ეკლესია ესე ძლევ{ი}სა მთა|ვ{ა}რმ{ო}წ{ა}მ{ი}სა<ა> ს{ა}ლ{ო}ცველად საწყ{ა}ლობ{ე}ლ{ი}სა სულ{ი}სა | ჩ{უე}ნ{ი}სა და მშ{ო}ბელთა ჩ{უე}ნთა, შემდგ{ო}მთა და მ(ო)მ(ავა)ლთა ჩ{უე}ნთა".

როგორც ვხედავთ, სურამის ციხის წმ. გიორგის ეკლესიის ლაპიდარული წარწერა საღმშენებლო ხასიათისაა. მის ტექსტში, შინაარსობლივი თვალსაზრისით, ორი ნაწილი გამოიყოფა. ამათგან, წარწერის I, შესავალი ნაწილი ძალზედ მოკლეა და ტრაფარეტულ საღმრთისმეტყველო ტექსტს შეიცავს: „ქ. შეწევნითა ღმრთისაითა". წარწერის II, ძირითადი ნაწილის ტექსტი ბევრად უფრო ვრცელია. ეს ტექსტი მოგვითხრობს, რომ მეჭურჭლეთუხუცესმა და პირის მწდემ გიორგი ღაღანიძემ, მეუღლესთან – თამარ ქვაბულისძესთან ერთად, ძლევის წმ. გიორგის სახელზე ეკლესია აღაშენა ანუ სურამის ციხის წმ. გიორგის ტაძარი ააგო თუ განაახლა. წარწერის თანახმად, ეკლესია გიორგი ღაღანიძისა და თამარ ქვაბულისძის, აგრეთვე, მათი მშობლებისა და შთამომავლების სულის სალოცველად იყო აღშენებული: „მე, ღაღანისძემან გიორგი, მეჭურჭლეთუხუცესმან და პირის მწდემან და მეუღლემან ჩემმან თამარ, ქუაბულისძისა ასულმან, აღვაშენეთ ეკლესია ესე ძლევისა მთავარმოწამისა სალოცველად საწყალობელისა სულისა ჩუენისა და მშობელთა ჩუენთა, შემდგომთა და მომავალთა ჩუენთა".

სურამის ციხის წმ. გიორგის ეკლესიის ახლადმიკვლეული ლაპიდარული წარწერა, მისი პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, წინასწარულად, XV-XVI საუკუნეებით თარიღდება. წარწერა უაღრესად საინტერესო ცნობებს გვაწვდის სურამის ციხისა და მისი მიმდგომი მხარის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაქვემდებარების, მეჭურჭლეთუხუცესისა და პირის მწდის სახელოების გენეზისის, ღაღანისძეთა და ქვაბულისძეთა ფეოდალური სახლების გენეალოგიისა და სხვა მნიშვნელოვანი საისტორიო საკითხების შესწავლისათვის.

აღნიშნული საკითხები და სხვა თანამდევი პრობლემები დაწვრილებით იქნება განხილული წინამდებარე ნაშრომის ავტორთა სხვა პუბლიკაციებში, რომლებსაც სამეცნიერო საზოგადოებას ახლო მომავალში წარმოვუდგენთ.

ირაკლი გელაშვილი
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
თამაზ გოგოლაძე
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
თემო ჯოჯუა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხაშურელი მარათონელის უდიდესი წარმატება

ჩვენს რაიონს არაერთი წარმატებული სპორტსმენი ჰყავს, რომლებმაც შორს გაუთქვეს სახელი რაიონსაც და ქვეყანასაც, მაგრამ სპორტსმენის წარმატებამ, რომლის შესახებაც ახლა მოგითხრობთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და უდიდესი აღიარება მოიპოვა.

მიმდინარე წლის 9 სექტემბერს, ქ. ბათუმში, ე.წ. „ზღვაზემავალმა ქართველმა“ (ასე უწოდებენ მას საზღვარგარეთ) ბეგლარ ელბაქიძემ, ხაშურის რაიონის სოფელ გომის მკვიდრმა, გამართა მეორე მსოფლიო სარეკორდო მარათონი „ოქროს საწმისის“ ფარგლებში.

მისი მიზანი იყო მის მიერვე 10 წლის წინ დამყარებული რეკორდის - 8, 5 კილომეტრის გაუმჯობესება: ზეზელა, ანუ დგომელა, მხედრული, ხელებაღებული სტილით, ულასტოდ, შეუჩერებლად, სპეცკოსტიუმისა და სხვა საცურაო საშუალების გარეშე, მხოლოდ ფეხური ცურვით, დაეძლია

7 ოლიმპიური დისტანცია - 10,5 კილომეტრი, ჭოროხის შესართავიდან ბათუმის საზღვაო შუქურამდე.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, კლუბი „გიორგი“ - სარეკორდო მოძრაობა, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, ფაზისის საერო აკადემია და ხაშურის მუნიციპალიტეტი.

ბეგლარ ელბაქიძე არის ერთადერთი პიროვნება აწინდელ მსოფლიოში, რომელიც ორხელაწეული სტილით შორ დისტანციაზე ცურავს. საერთაშორისო მარათონული მოძრაობის ისტორიას ანალოგი არ ახსოვს.

ბეგლარ ელბაქიძემ სპორტის ეს სახეობა თავის მშობლიურ სოფელ გომში შეისწავლა. ბავშვობაში მისთვის ძალიან სახალისო და მეტად ადვილი იყო მდინარე მტკვრის ერთი ნაპირიდან მეორეზე „გადასვლა“, მაგრამ მისთვის იმდენად ჩვეულებრივი ამბავი იყო ეს, რომ ვერც კი წარმოედგინა რომ მივიწყებული ერთი ქართული სპორტის სახეობის უცნაური მიმდევარი იყო.

არადა, ბატონ ბეგლარს ბავშვობიდანვე აწუხებდა სურვილი, გაეკეთებინა ისეთი რამ, რაც სხვებს გააკვირვებდა. იგი გახლავთ შესანიშნავი მუსიკოსი, მშენებელი, მრავალმხრივ განვითარებული პიროვნება, არის კარგი მეოჯახე, ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და სამი შვილიშვილი. მაგრამ ყველაზე მეტად იგი არის თავის კუთხესა და ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული კაცი. როგორც იგი ამბობს, ამ მარათონის ერთ-ერთი მიზანი ისიც იყო, რომ მას სულ აწვალებდა ფიქრი იმაზე, რომ თურქეთში გამართული ასპარეზობის დროს, იგი თურქული დროშით გამოვიდა, და არ მიეცა მას იმის საშუალება, რომ ქართული დროშა წინა პლანზე წამოეწია და საქართველო წარმოეჩინა. ამჯერად კი მის მიერ 10,5 კილომეტრზე ნატარები ორი დროშა - ერთი საქართველოს და მეორე ბათუმის(აჭარის) ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატებს წარმოადგენენ.

მეტად საინტერესოა სპორტის ამ სახეობის წარსული. მოვიტანთ ერთ ძალიან საინტერესო ფაქტს.

ეს მოხდა 1855 წელს. ოსმალები შემოესიენ საქართველოს, ერთ-ერთ დაჯგუფებას სარდლობდა ომარ-ფაშა, რომელიც დაიძრა აფხაზეთის შემოვლით სამეგრელოსკენ და დაბანაკდა ენგური, პირას, სოფელ ნაბაკევის მახლობლად. აქ შეიპყრეს ამ სოფლის მკვიდრი ქელა ეხვაია, უბრალო გლეხისშვილი, მაგრამ ოდიშში სახელგანთქმული. უბრძანეს ესწავლებინა ენგურის მარცხენა მხარეს გასასვლელი ფონი. მდინარე ენგური ადიდებული იყო. მიზანი ნათელი იყო - სადადიანოს დედოფლის - ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის - ეკატერინეს ხელში ჩაგდება და დატყვევება, ზუგდიდისა და მთელი ოდიშისა და სხვა მხარეების დაპყრობა.

ქელა არ დაბნეულა, წინ გაუძღვა მტრის ლაშქარს, იმ ბნელ ღამეს ადიდებულ მდინარეში ჯერ ადვილი გასავლელი განვლო, შემდეგ „მომყეთ, მომყეთის! „ ძახილით შეიტყუა ღრმა ადგილას, მორევში, სადაც წყალი ტრიალებს და „საღუპელას“ ეძახიან. ქელა ეხვაიას მრავალნაირი ცურვა სცოდნია და მათ შორის ყველაზე რთული და ძნელი: ზეზელა, ფეხით ცურვა, ფეხურსაც და დგომელასაც რომ ეძახიან, იმ მორევში ისე მარჯვედ ცურავდა, თითქოს ფსკერზე დატოპავსო. „მომყეთ, მომყეთ!“ კვლავ იძახდა ქელა - ოსმალებიც მიდევდნენ, უცებ ჩაყურყუმალავდებოდნენ და სადღაც უჩინარდებოდნენ ადიდებულ მდინარეში, ჯერ იმ „საღუპელაში“ ტრიალებდნენ მომხდურთა გვამები და მერე ზღვისაკენ მიაქანებდა ენგურის ტალღები.

ამ ერთმა კაცმა, ქელა ეხვაიამ მტრის მთელი ლაშქარი გაისტუმრა საიქიოში თოფის გასროლისა და ხმლის მოქნევის გარეშე, სისხლის დაუღვრელად, ისე რომ ერთი ქართველიც არ შესწირვია და თვითონ ქელაც უვნებელი გადარჩა. მან დატყვევებას გადაარჩინა ეკატერინე ჭავჭავაძე, მისი სახლეულობა, გადარჩა ზუგდიდიც, ოდიშიც, მთელი სამეგრელოც, საქართველოს ეს ღონიერი მხარე.

ქელა ეხვაიაში ყიოდა ცოტნე დადიანის, თევდორე მღვდლისა და სხვა ქართველ მამულიშვილთა სისხლი.

ჩატარებული მარათონის ერთ-ერთი მიზანი ისიც არის რომ სპორტის ეს სახეობა დაინერგოს ქართულ ჯარში და სამაშველო სამსახურებშიც. როგორი საინტერესო იქნება თუ წარმოვიდგენთ ჯარისკაცს, რომელსაც ხელში იარაღი უჭირავს და ისე მიცურავს. ანდა როგორ მარჯვედ შეძლებს მაშველი წყალში ჩავარდნილი ადამიანის გადარჩენას, როცა ორივე ხელი თავისუფალი ექნება.

ვუსურვოთ ბეგლარ ელბაქიძეს ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლეს ქვეყნის სასიკეთოდ. დაე, აღსრულებულიყოს ის მრავალი საინტერესო ოცნებები და მიზნები, რომლებიც ბატონ ბეგლარს მრავლად აქვს დასახული.

ჯონდო ქიტიაშვილი, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი

ხაშურის სასპორტო სკოლის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი სპორტსმენი, მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი

რამაზ ხარშილაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს!

სურამის I საჯარო სკოლის პედ.კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ყოფილი დირექტორი

უშანგი ლომიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია თანაგრძნობას უცხადებს სურამის მე-3 საჯარო სკოლის ბუღალტერს თინა ცაბაძეს მეუღლის გარდაცვალების გამო. D

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია იუწყება რომ გარდაიცვალა ცნობილი პედაგოგი, სურამის I საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი, ბრწყინვალე პიროვნება და ჭეშმარიტი აღმზრდელი

უშანგი ლომიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს. D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.